ოქმი:**ო02.37211471**
თარიღი:**27/05/2021**

ოქმიN4--6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის,აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2021 წელი, 24 მაისი
ქ. ოზურგეთი
14.00 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები : ტ.აროშიძე, გ.თოიძე, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, გ.ჩაგანავა, მ.ჩხიკვიშვილი, ე.გორდელაძე, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, ლ.ნინიძე, თ.ტუღუში, ვ.ნიჟარაძე, თ.ბურჭულაძე, ლ.საჯაია, გ.მდინარაძე, დ.მდინარაძე.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს/კ 26.01.51.265.) მიწის ნაკვეთის (გზის) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სერვიტუტის გამოყენებაზე(დატვირთვაზე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ.კილაძე

2. ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მდგომარეობის შესახებ.

მომხ: ლ.ბიგვავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ნოდარ დუმბაძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხ: ლ.ბიგვავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ალექსანდრე ღლონტის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხ: ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა გ.კილაძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის

მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლებმაც იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნა, რომ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება ზაფხულის თვეებში, თუ თავის დროზე არ მოხდა კომისიის დასკვნების გათვალისწინება, მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს ვადას მდგომარეობის გამოსწორებისათვის, კომისია გააკეთებს შესაბამისს დასკვნას და არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ივლისისა დაელოდება მერიიდან ინფორმაციის შემოსვლას. აქვე გაჟღერდა ინფორმაცია პარკირების გადასახადის სეზონის მიხედვით შესაძლო განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიათა წევრებს ასევე, გააცნო შესაბამისი სამთავრობო კომისიის თანხმობა მუნიციპალიტეტის სოფლებში შრომასა და დვაბზუში უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების წარდგენას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1, 3, 4 საკითხები წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუროს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი